



1970  
1974

1970  
1974

**ՀԱՄԵՆԱ**   
1974

# სანაპი უნვანე ოქროს ქლავაში



ნ. ჯაბელიძე  
ფოტო ავტორისა.

ამ ვეებერთელა საბჭოთა მეურ-  
ნეობის უბნებს ნაძვთა ზეივნებში  
გაჰიმული მოსფალტებული გზები  
აკავშირებს. ცოტა ხნის წინათ თუ  
გაჰყვებოდით ერთ-ერთ მათგანს,  
იგი მიგიყვანდათ რკინის ქიშკართან,  
რომელზეც წარწერილი იყო: „ზუგ-  
დიდის რაიონის უფროსკლასელთა

ბჭეერის შრომისა და დასვენების  
ბანაკი „ავანგარდი“.

რაიონის ორასზე მეტმა მოსწავ-  
ლემ მოიყარა აქ თავი. მიზანი, რა  
თქმა უნდა, ერთი ჰქონდათ: დაესე-  
ნათ გონიერულად, დაუფლებოდნენ  
დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს



ზემოთ:  
ხეცპირის  
ჩანის  
საბაოთა  
მეურნეობის  
კლანტაიბაში  
გულამ  
ხალხმრავლობა  
იყო.

ბავრი  
ბასართობი  
პროდამთ  
ბანაკში  
მოსწავლეებს,  
ბანაკურთმეობულ  
კოპულარობით  
პი შაბაკაპი  
სარგამლობა.







და ღირსეულად ამოდგომოდნენ მხარში უფროსი თაობის წარმომადგენლებს. მიზანი კეთილშობილური იყო და მოზარდებიც ცდილობდნენ პირნათლად შეესრულებინათ ჩანაფიქრი.

ბანაკი რვა ჯგუფად დაჰყვეს და თითოეულს რჩეული წინამძღოლი ჩაუყენეს სათავეში.

მოაწყვეს ბანაკის საზეიმო გახს-

ნა. მითხრეს, მეტად შთამბეჭდავი იყო მოსწავლეთა ეს დღესასწაულიო. ისინი ბანაკის გახსნის ცერემონია-ლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდნენ მეურნეობაში, მაგრამ თითოეული თავის მოვალეობად თვლიდა ამ დღეს განსაკუთრებული შრომითი საჩუქრით შესვენდროდა. და, რასაკვირველია, თავი ყველამ ისახელა. მაგალითად, ერგეტის საშუალო სკოლის, მეცხრე კლასის მოსწავლემ ლალი პერტიამ ერთ დღეში ას ორი კილოგრამი ხარის-ხიანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და გააოცა მასპინძლებიც და სტუმრებიც.

ბანაკის გახსნას ესწრებოდნენ დედაქალაქის ლენინის რაიონის შრომისა და დასვენების ბანაკის „ოქროს საწმისის“ წარმომადგენლები. ოცდაათამდე რჩეული თანატოლი ასტუმრის თბილისელებმა შეზომლებს და თავიანთი სურვილიც აცნობეს — ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ.

ახე ჩიუყარა საფუძველი ორი ბანაკის ორმხრივ ვალდებულებებს, რომელთა დაუნხრელი შესრულებაც

მოზარდებმა წმიდათა წმიდა მოვალეობად მიიჩნიეს. ამ მიზნის განხორციელებას დაუჭვემდებარეს ყველაფერი და ბანაკში შრომითი პათოსი დამკვიდრდა.

საღამოობით, ვიდრე ხაზზე დადგებოდნენ, შტაბის უფროსი ალექსანდრე ბაჩილავა შეკრება თითოეული ჯგუფის მიერ წარმოდგენილ შრომითს პატაკებს და აჯამებდა მთელი დღის ნაშედეგს. შემდეგ ხაზზე აცხადებდნენ შედეგებს, ასახელებდნენ სუთოსნებს. მაღალი შეფასების მოსაპოვებლად კი საშირო იყო ხანიშუშო ყოფაქცევაც — ყურადღება ექცეოდა მეგობრებთან ურთიერთობას, საწოლის, ოთახის დროულად დალაგებას და გონივრულ გართობა-დასვენებას. ბევრმა უფროსკლასელმა დამსახურა მაღალი ნიშანი, მაგრამ ამჭერად ვესურს რამდენიმე სიტყვით პიონერებზე მოგითხროთ.

ინგირის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები მანანა ვულუა და ელიშერ შენგელია მერვე კლასში მაღალი ნიშნებით გადავიდნენ. პიონერებმა დააწვეტეს ბანაკშიც ესა-



# JAMEJZA

9

საქართველო

1974

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციის საკლასო ორგანო

ბათუმი 1926 წლიდან

საქ. კვ. მ.-ის  
გამომცემლობა

ხელგინათ თავი და ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. თითოეული ყოველდღიურად ოც-ოცდასთ კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა. ეს შრომითი პაექრობა ბოლომდე გაგრძელდა და შეჯიბრებაში, ცხადია, ორივე გამარჯვებული გამოვიდა.

შრომისა და დახვეწების ბანაკში დამეგობრდნენ ბადრი ნაროშვილი და კაპიტონ სვანიძე. ბადრი კოკის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეა, კაპიტონი კი ანაკლია-პითაწყარის რვაწლიან სკოლას ამთავრებდა. როცა ბიჭუნებმა ერთმანეთი გაიცნეს, თავიანთი ოცნება-მისწრაფებებში ბევრი საერთო და ახლოხელი დაინახეს. მისი კაპიტონი კომკავშირის რიგებში მიიღეს. ეს არასოდეს დაავიწყდება, მაგრამ ისიც კარგად ახსოვს, თუ როგორ დაიმსახურა იგი.

კაპიტონს ორ საგანში საშიანი ჰყავდა. პირობა დადო — ამ ნიშნებს გამოავსორებ და, თუ ღირსად ჩამთვლიან, კომკავშირის რიგებშიც შევალ. კაპიტონის სიტყვა შემშარბი პიონერის სიტყვა აღმოჩნდა და სასწავლო წლის მიწურულში იგი კომკავშირში მიიღეს. ბადრი ახალგაზრდობილ მეგობარს გამოუტყდა, რომ ისიც აპირებს კომკავშირში შესვლას და ასევე სურს ნიშნების გამოსწორება. მარტო ქართულ წერასა და გეოგრაფიაში გამოაშკარა ოთხიანები და, როცა წარმატების აღნიშვნის ფურცელში სულ ხუთიანები მიქნება, მხოლოდ მაშინ

დავეწერ განცხადებას კომკავშირში შესასვლელად.

თხოუმეტი პიონერი იყო ბანაკში. ახს ორას კაცში თხოუმეტი რა სათქმელია, მაგრამ ისინი მართლაც შესამჩნევი იყვნენ და კიდევ იმსახურებდნენ ყურადღებას. ამიტომაც ბანაკში პასუხსაებ დავალებას ერთიანად აძლევდნენ — კომკავშირელსაც და პიონერსაც.

ერთ საღამოს ბანაკს თამარ ყუფუნია და ანთიმოზ როგავა ეწვივნენ. ვის არ გაახარებდა ასეთი სახელოვანი ადამიანების სტუმრობა! მასპინძლებმა აფრინეს შიკრიკი და შესვლეში „ოქროს საწმისის“ წარმოადგენლებიც მოიწვიეს. ამჭრად თბილისელთა დელეგაცია გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო — ყველას აინტერესებდა სახელოვანი ადამიანების გაცნობა.

ანთიმოზი თანასოფელთა საქმიანობაზე ესაუბრა ახალგაზრდობას. ბევრამ მათგანმა პირველად გაიგო, რომ ახალსოფელში, სადაც ანთიმოზი კოლმურენობის თავმჯდომარეა, ორმოცდათორმეტი სოციალისტური შრომის გმირი ახლო მათგან ორი, როგორც ეს საკუთარი თვლითაც ნახეს, ორგზის გმირიცაა.

— ჩვენთან იცინა შრომის ფასი, — ასე ხსნიდა ანთიმოზი ამ წარმატებებს, — იგი ჩემს თანამემამულეებს სასიცოცხლო მოთხოვნილებად ექცათ. ახალსოფელში შემთხვევით მოხვედრილიც კი შრომის მაღლს უნდა ეფიაროს და ამაგიც ერთითად დაუფასდება.

ამის დასადასტურებლად შეგად საგულისხმო მაგალითი მოიყვანა ანთიმოზმა.

...ომის დროს სოფელმა იწილე პოლტავიდან ევაკუირებული თორმეტი წლის ვალია სრიბნოვა. ახალსოფელეები ყურადღებას არ აკლებდნენ მშობლიური კუთხიდან გამოხვეწილ ობოლ გოგონას. ქალაქებშია იგი მესამე შევიდა მიიღეს. ალერსით გარემოსილი ვალია სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად იზრდებოდა. სწავლობდა სკოლაში, საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა ახალსოფელში მშობლებს, კრეფდა ჩაის და თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სოფელში, როგორც აქ ხატონად აშობენ, „ვარსკვლავიცვანა“ იწყო, გმირის ერთი ვარსკვლავი ვალიას მეტრდევს აკი-აფდა. დიახ, მაღალწყაფიერი შრომის წყალობით, რჩეულ თანასოფელთა მხარდამხარ ღირსეულად თანდაგობისთვის თვრამეტი წლის ვალია სრიბნოვამ სოციალისტური შრომის გმირობა დაიმსახურა!

ანთიმოზის შემდეგ თამარიც ესაუბრა შეტრებილთ. ეს დღე დიდად შთამბეჭდავი იყო მოწონადებისთვის. ჭერი ოქროს საწმისებზე მიდგა. შეხვედრა აღინიშნა „საწმისელთა მიწაზე“ ბანაკის დაგვიანებული გახსნით. ურთიერთმისაღმების პატივის და საწემო ნაწილის დანთავრების შემდეგ ბანაკ ოქროს საწმისის“ ფურცლმა ნოდარ ლაშველმა თავის კოლეგას შინა ქაღარაის აუხსნა ამ დაგვიანების მი







მარცხნიდან მარჯვნივ პაპატონ სვანიძე, ბაღრი ნაროშვილი.

ზეო, თურქი თბილისელებმა პირობა დადეს: ვიდრე რომელიმე ჩვენგანი ლალი პეტრას რეკორდს „არ მოხსნის“, იქამდე არც ბანაკის საზეიმო გახსნა გვინდა და არც სტუმრების მოწვევაო.

— მერე განა შეიარაღებს სიტყვა? — იკითხა მზიაშ.

ამის პასუხად ნოდარ ლოლაშვილმა აუგანარდელთა მეთაურს ორი უწყალო წარუდგინა:

— გაიცანით, გიორგი მაისურაძე და მერაბ მამულაშვილი. ექვსი საათის განმავლობაში ერთმა 105, ხოლო მეორემ — 102,5 კგ მოკრიფა.

— გაირეფათ აქ ჩამოსვლამდე? — ჰკითხა მათ მზიაშ.

— აბა, სად? — მხრები აიჩიჩეს ბიჭებმა.

— მათი რეკორდების შესახებ რომ მოვისმინეთ, არ დავიჭერეთ, — თქვა ნოდარმა, — მაგრამ მერე ერთმანეთს შევაჯიბრეთ, და მართლაც ბარაქიანად კრიფეს.

— მაინც, რომელი ჯობით? — ისევ იკითხა მზიაშ.

— თანაბრად ვკრიფთ, — დაასწრო მეგობარს მერაბ მამულაშვილმა,

— იმ დღეს გიორგიმ იმით მაჯობა, რომ მე სასადილოდ წავედი, იგი კი პლანტაციამო დარჩა.

ეტყობოდა, ბიჭებს დიდად გადავივებოდათ შრომისადმი სიყვარული. გიორგი და მერაბი კი გამონაკლისი როდი იყვნენ!

ბანაკის უფროსმა ათეულობით უფროსკლასელი დავისახელა, რომლებიც შესაშურ სიბეჭითესა და შრომისმოყვარეობას ავლენდნენ ჭერ კიდევ გაუმინ უცნობ და უჩვეულო საქმეში.

იქ, მწვანე ოქროს პლანტაციებში, ისინი იძენდნენ დამოუკიდებელი შრომის ჩვევებს და ემზადებოდნენ ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად.

# პაპატონ, ჩქარია!

პირველი მარჯობისა

შენ არ შეგშენის, არ შეგშენის ნელი ტატი. ვინც წლით იზრდება, შენ იზარდე დღით და საათით. მდინარესაკით უნდა იყოს სწრაფად ქცეული შენი სურვილი, შენი ნიჭი და სუთწოდული...

ჩვენ შენით გვიდგას სული და შენს მზეს ვფიცებით. შენი უდელი, მამულო, და ჩვენი კისრები.

ოღონდაც გვისმე (ძალა გვერის ვისზე ნაკლები) შენი ყანები, მამულო, და ჩვენი ნამგლები.

უუმძიმესი შენი ტვითი და ჩვენი მხრები. შენი ღუმანის, სამშობლოო, და ჩვენი სმლები.

შენი ბიბინა სათიბები, ჩვენი ცელები. თუ ცოცხლის ღვრას, სისხარულის ღარე ცრემლები.

შენი დარდი და სისხარული მტკველიც, მუნჯიც, ფხაა, სუნთქვაა ჩვენი კალმის და ჩვენი ფუნჯის.

ჩვენს რომგურებზე აურაცხელ სიმაღ გაება, შენი ოცნება, სიყვარული და უშვადება.

ფრიადებს ქარში შენი ზეცის ლურჯი სარული, ჩვენ ამ მიწაზე ერთგულებით ვართ მიჯაჭვული.

აბა, წინ, ჩქარა! ჩვენ არ გვარგებს ნელი ტატი! ვინ წლით იზრდება, ჩვენ ვიზარდით დღით და საათით.

## ბაგუ მუხარინილი





# თავები

ვახანგ ჩხუმიანი

მატყარი ჯ. ლომუა

მოთხრობა

მამაჩემს ადრეც ჰქონდა თოფი. ჩვეულებრივი სანადირო თოფი იყო — ცალპირა, მსუბუქი. ამიტომაც მომწონდა.

რამდენჯერმე მასროლინა კიდევ ნიშანში, ტარებით კი — ნურას უკაცრავად! ან კი როგორ უნდა მეტარებინა: იმსიგრძე იყო, მხარზე რომ ჩამოვიკიდებდი, კონდახი ჰქსოვებში მირტყამდა. პატარა ვიყავი...

მერე ის იყო, მილიციელები მოვიდნენ ერთხელ და წაიღეს ჩვენი თოფი: ნებათაღვა არ ჰქონოდა მამას. ისიც ადგა და ერთ მშვენიერ დღეს (დღეს კი არა, საღამოს) ისევე თოფი მოიტანა შინ, ახლა რომ გვაქვს — ორლულიანი.

ბებიანიჩემმა მაშინვე შეუტია:

— ნეტავი ვიყოლე, რას მოათრეველი ამ რკინას!

— აბა სად წაიქვია? — ვითომ ბანზე აუგდო სიტყვა მამამ.

— სადა და, სოგარტა მილიციელისთვის ჩაგებარებინა ხაიშში!

— რადა?! — გაუყვირა და მამაჩემს.  
— იპ, მაინც უნდა ჩამოვართვას და რას აწუხებ იმ კაცს და ათრგვინებ აქედან?!

მამას გაეცინა.  
— ვერაფერსაც ვერ ჩამომართმევს. შენ სანადირო საყატზე ხელი ვადაუსვა თოფს რამდენჯერმე, თითქოს ეფერებათ. — ნებათაღვა ავიღე.

— აბა, აფშენებულვართ! — ბებიია თან ცომა ზეულს, თან ბუზღუნებს, — ისეთი მამის შვილი ხარ, ვიხვს არ შეარჩენ კალღეს!

ბაბუა კი მისჯღომია ლუმელს, „პრიმას“ აბოლბს და ილიმება თავისთვის. ვითომ ვერ ამჩნევს, როგორ გესწავს ბებიია. სულ აგრეა ხოლმე, აინუნში არ ადვებს ბებიას ენამწარობას. იცის, რომ თავისით დაწყნარდება, როცა გულს იჯრებებს.

— მაინც რა მამაკაცები მყავს ოჯახში! — ბებიამ ცოში მოასწორა, გობს ტილო გადააფარა და ლუმელთან მიუღდა სიბბოს, — ჩიტი რომ ჩიტია, ის მაინც მოენადირებინათ ოღესმეი!..

— რა გინდა, ქალო, — ეუბნება ბაბუა, — რაკი ვიხვის ხორცს არ გიზიდავთ ცხრა მთას იქიდან, ჩვენ უნდა შეგმწვა?!

— შეგწვა, თორემ დიდ გემოს კი ჩავატან შენს ბებერ ძეგელს!

— ა! სიბერიითა მწუნობს...

— მამას ახალგაზრდა ხომ სულ ენაზე მადნებოდი! ბებიია რომ ცეცხლს შეგაინთებს, მტრისას! თუ ვინმემ დაიტყნა მისი რისხვა, ურჩევნია დროზე გეცალოს... მაგრამ სიყვარულით ყველას უყუარს, რადგან გულითადი ადამიანია.

ბაბუაც ამიტომ უთმენს ალბათ, არასოდეს მინახავს ბებიას გაანჩხლებზე გული მოსვლოდეს. ბებიია კი დღეში ასჯერ მაინც დებს კუბოში ბაბუას, ასაფლავებს, უხდის სატრიალს, ორმოცს, სულის მოსახსენებელს... საღამოს კი თბილი წყლით აბანინებს ფეხებს...

მოკლედ, ბებიანიჩემი ერთთავად ქოთოთებს და საარყე ქებაზეთ დღუს (ეს ბაბუას გამოთქმაა), ბაბუა კი, ცა რომ თავზე ექციოდეს, ყურს არ გააბარტყუნებს, — ასე ამბობს ბებიია. ის კი არა, ბებიანიჩემს თუ დავუჯერებთ, აღრე ერთი ავაზაკი და ღვთისპირიდან გადავარდნილი კაცი ყოფილი, ახლა კი ისეთი უქნარა და უღარდელია, ღმერთსაც არ უნდა მისი წაყვანა იმ ქვეყნად: ფიქრობს, რაში გამოძაღვებათ...

ბუბა\* თებეკი კი ამბობს: უკეთესი ვაყვანი თქმში არ იყო, ყველიფერში გვჯობნიდათ.

მაინც, რა ყველიფერში-მეჭიქი?

— სროლაში, ქვის აწევაში, ჭილაობაში... რა ვიცი... ცეკვითაც კარავდ (ცეკავდა, ოლონდ სიმღერას რომ დაიწყებდა, აბა, პა, პა, პა, მამალ მგელს დაადგობობდა ისე კი დიდი უთქმელი ვინმე იყოს! ბებიანიჩემი რომ მოიტაცა ისიც კი მერედა გავიგეთ, ყარს. რომ მოგვაყენა პატარალი. აბა!

ეს მოტაცება კი ძვირი დაჯღომია ბაბუას. კინალამ მოუქლავთ. რა კინალამ, მკერდიდან ზურგში გაუვლია ტყვია.

ბებიია მაშინ, რა თქმა უნდა, სულაც არ ყოფილა ბებიია... ბუბა თებეკმა თქვა, ისეთი ლამაზი გოგო იყო, საყურებლად დაგვანებოდა. ჰოდა, ეს ლამაზი გოგო საყურებლად რომ ენანებოდა ბუბა თებეკს, კოლცაზე დაუნიშნავთ მშობლებს. ბაბუამ კი, არც აცია, არც ატყლა და მოიტაცა. როგორი საქმეა? სიტყვაც არ უთქვამს!

\* ბუბა — ბიძია (სენაურად).





ვახტანგ  
 ჩახუცაძის  
 ჩოხობის  
 „თახაობი“  
 „კოონარის“  
 რედაქციის  
 მისამართი  
 ბათუმი

ლსკეშია სკიზმე \* წასულს, შემოუსვამს ცხენზე და მოუტაცინო!  
 როგორ თუ საცოლე წამართვია, გაგვიტყუა ბებიას საქმით. მართალიც იყო, მე თუ მკითხვით — აბა, სადღა გააოცოდა თავი ამის შემდეგ! ჰოდა, იმდენ ხანს უღარავა და უთვალავალა ბაბუას, ვიდრე არ მოიხელთა, და დაუხლია მაუზერი მკერდში.  
 ტყვიას ფლტრებში გაუვლია და ზურგთან გაჩერებულს კანქვეშ (თითქოს ლობიოს მარცხელი ედოთ). ბუბა თებექი ამბობს, ახლაც არ ვიცი, რომელმან ღმერთმა გადაარჩინაო. ეს კია გადარჩა და, რაკი მთლად უცოდველი არც ბაბუა ყოფილა იმ კაცთან, შეურყეველით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიდებელი ორი გვარჩენი და იმ კაცისა.

ეზოში დიდი კაკლის ჩრდილში ვიჯექი და მამაჩემის ორულთან ვწმენდი. მამას არ უყვარს, იარაღს რომ პატრონს არ სცემენ. სწორედ ეგარე იმხანს — ბატიკი უნდა სცყო. ბაბუასი არ იყოს მამაჩემიც ვერაფერი შეიღობინდებოდა, მაგრამ თოფს გაწმენდილსა და დაზეთილს ინახავს მუდამ.

ბირღვმე მოხვეული ზუმბა ამოვარე და სინათლეზე გაუხეულ ლულს. უცებ ამ კრიალა ნახვრეტში ბუბა თებექის თავი დაივინახე. იგი ჩვენს ჭიშკარს უახლოვდებოდა.

თოფი გადავკეტე და ბუბა თებექს დავუმიხენე, მან კი შეკრი მიხილა, მოტრიალდა და ასეთ ყოფნაში რომ დაინახა, სწრაფად ამიქნია ხელი და დამიყვარა:

— გაწიო, ბიჭო, იქით!  
 ვითომ არც გამოვიჩინა. მკერდზე ყვითლად აბრჭყვიალებული თითბრის დილი ამოვიღე მიწაში.

— გაწიე-მეთქი, შე ქაჯების ბოტკე!  
 ორჯე ჩახმახი ფეხზე შევაყენე და, როგორც კი მომიხალვდა, გამოვრეწე სასლუტე. იმავე წამს ხელი მითკა ულულუზე და განხე უქნა თავი, თითქოს მართლა მისი მოკვლა მდომებოდა.

კონდიან მხრიდან მოვიშორე და გავუცინე... მაგრამ სიტლი ზედ შემამოხრა, გაოგნებული ვუპაუჩებდი, სულ დავიბნე, რა დავამავე-მეთქი.

რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღია, თითქოს ყელში გაეჩხიროს სიტყვა. მერე კი ძალიან წყნარად მიიხარა:

— არასოდეს ვააყეთ ოე!  
 — თოფი ხომ ცარიელია, ბუბა, — გადავხსენი და დავანახე, — აი!

— მიიცი არ ქნა, შვილო! თოფს ეშმაკი ტენის და, შენ რომ ცარიელი გგონია, სწორედ მაშინ შეგამთხვევს უმადურებდას.

ეშმაკის დატენვისა რა მოვახსენით და, ძალიან კი შემოცხვა, რომ ასეთ დღეში ჩავაგდო მოხუცი.

— ბაბუა შინ არის? — მკითხა მერე.

— კი, ბუბა თებექე, მობრძანდა.

— არა, შვილო, მგჩქარება. ბაბუაშენს უთხარი, ყანას მიხედოს, ტვირთას მხრიდან დათვი შემოსულა წუხელღოთ. ან ხედავანე დაუდღას, ან რავე მოუხერხოს, თორემ სულ გაგრიტალებთ სიმინდს.

— მიტყვი, ბუბა თებექე.

წაიკვდეკი და სახლში შევიტანე თოფი. გამიხარდა

კიდევ, დათვი რომ სტუმრებია ჩვენს ყანას: სულ იმაზე ვცხენებობდი, ნეტავ დათვი მომაკვლევინა-მეთქი.

ომის დროს ბაბუაჩემი საქურეგლსა და სურსათს უზიდავდა თურმე ჩვენს ჯარისკაცებს მარჯვს უღელტეხილზე. ხანაც მებგურობას უწევდაო მხვერავებს. ომამდე მოკეთებები მყოლია ყარაჩაიში და ხშირი სტუმარიც ყოფილა იმ მხარისა. ასე რომ, გზები, იციოცხლე, ბაბუას არ შეეშლებოდა:

ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვია მოხვედრია მუხლში და ახლა გაშეშებული აქვს ფეხი... გებია რომ გაუბრაზდებდა, საყვედურებს უგზავნის იმ გერმანელს, ცოტა ზეგით ვერ დაგიმიზნა იმ ჩემი ცოდვით სასესე, რალა ფეხებში გერსოლოდა! ბარემ გაეთავებინე და მეც მოვიკვივებოდი.

— ეჰ, კესა, ეგ ხომ ჩემთვისაც ხსნა იქნებოდა, მაგრამ... — ლიბოლით მიუფეხს ბაბუა.

— შენთვის, ვითომ, რაღათა? — ახლა ამაზე ბრაზობს ბებიარემი.

— არ მეორია მკვდარი გამოვეძიებენ ყვაე-ყორანს, შენ რომ ცოცხალსა მკორტნი!

... დათვს ისე მოეკალოვებინა ჩვენი სიმინდი, გული გაუსკდა ბებიას, თანაც სულ კარგი და ტანყარილი ძირები უჩრვდა იმ ოხერს. (ნეტა, რჩევის თავი სადა ჰქონდა იმ სინილეში).

— უოჰ, უოჰ, უოჰ! — ლოყებს იხოკავდა ბებიარემი. — არ ამოვგვადო იმ ტიალმა, არ მოვგვსო და არ ამოვგვარევა! უოჰს!

ბაბუა კი დინჯად დადის ყანაში და ფეხზე აყენებს წყეტელ ძირებს, თან ექილიეება ბებიას:

— შია და რა ქნას აბა! შენი ჯავრი კი არ სჭირს.

— შია, თორემ მისმა მუციის გახეთქემ, სულ მისი მოხნულ-დათესილია ეს ყანა!

ამ დროს მამაჩემს მოგვარი თვალე შარაზე. კისრისტუხით გავიქეცი.

მამაჩემს არჩილი ჰქვია. სოფელში ყველაზე დონიერია, თანაც ისეთი მაღალი, შორიდან იცნობ.

— როგორა ხარ, ნაღურე\* — მამამ მხრებში ჩამავლო ვიება ხელეტი და ისე მაგრა შემიჯანჯღარა, ლამის მომწყვიტა კისერი.

სულ ვერე იცის: არც გამარჯობა, არც არაფერი! — ჩავაგდე ხელებს და კითხვით გაჯანჯღარე. დედა ბრაზობს, ნუ დაფშვენი ბავშვი, შე კაცო, დათვი ხარ

\* ლაშქ. — ვიძა. მკავე წყალი.

\* ბიჭი.



ლოებს გულს, ამ მეოთხედში რა მიიღე და იმ მეორეში რაო (მგონს, ესეც დედისაგან იცის). — თორემ მეტი რომ სამიანი ვამოყვება ალგებრაში, მაშინ ნაწყენი ხოლოთი მიიხზება:

- მეგონა, ჰკვიანი ბიჭი იყავი. სამეცნიერო კურსში მეტი არაფერი. იმ დამეს სულ შერან ეჭიან ჩემთან თავი, მეორე დილით კი ისე წავიდა, არც შემოუხედეს ჩემთვის. ხოლო, როცა ნიშანი გამოვასწორე, თითქოს არც ახსოვს, ხმა არ ამოუღია ამ ამბავზე.
- ჩვენი რას აკეთებენ ყანაში? — მეკითხება მამა.
- არაფერს, დათვი შემოსულა წუხელ და...
- დათვი?
- კი, ღობე მოურდევია და შემოსულა.
- მე რე ორ მამაკაცს ორლულიანი თოფი ნახას, ტარიფით რომ დაგიყუდებიათ კარდის უკან, ვერ მოკლავთ იმ დათვს?

ისე მეუბნება, თითქოს ერთი ცხრა დათვი მაინც ჰყავდეს მოკლული თვითონ არადა, შარშან ორი ქალ გვესტუმრა თბილისიდან, დედის ამხანაგები. ერთად უწველობათ ინსტიტუტში.

მამას ჰკითხეს, ჯიხვებზე თუ დადიხარო? — არაო, — აბა რაღა სვანი ხარო! — ტუჩი აიბზუა ერთმა.

თითქოს ისე ვერ იქნები სვანი, იმ საწყალ ჯიხვზე, თუ არ ხოცავ, სადაც კლდეებში რომ მიყუდულან თავისთვის და კაციშვილს არაფერს უშვებენ! იმის არ იყოს, ჩვენს სოფელზე რომ თქვეს — ქუხერი ძლიან ღამეში ყოფილა, მაგრამ ერთი კომპიც არ დგას და რაღა სვანეთია!

სულ „რაღა“ და „რაღა“ ეკერათ პირზე დიდი უცნაური დეიდები კი იყვნენ, აი. (ეს რომ დედაჩემმა გაიგონოს, მომკლავს)

აკი ვთქვი, დათვის მოკვლა ჩემი ოცნება იყო-შეთი. თანაც, ისე კი არა, საფარში საიმედოდ მოკალათებულმა რომ ესრატო შორიდან, არამედ პირდაპირ შემთხვევით, უთოფოდ, გაძვაცურად, — როგორც ბუბა თებეტი ამბობს.

ვნახავთ ერთი, რას მოყვება მე რე ენატრატრა დალი, ენაზე რომ არაფერი უჩერდება; ენახავ, როგორ იცინებენ სკვინჩებზე მონადირე ჩემი თანაკლასელები — გიო, მახლაზი, თუმა!

დაღობე განსაკუთრებით იყავი გაბრაზებული, მამაყანას რომ მოსდო ის ამბავი, ჩემზე რომ აცინა მთელ კლასი.

... ეს შარშან მოხდა, სექტემბერში.

მე და ვასო მოვდიოდით მთიდან. მე მამაჩემის ზურგ-ჩანთა მქონდა ავიღებული — ყველი მომქონდა. ვასოს კი (ვასო ბიძაჩემია, წყალგამა ცხოვრობს) თხისფერი გამოება რქებზე თოკი და მოათრევდა თავდაღობით. არ მოჰყვებოდა ის სამგლე და რა ექნა! ერთი რომ გავფარხხა წინა ფეხები, ნაბიჯი ვერ მოვადგელებინეთ. სულ „მეე“ და „ბეე“ იმხამ, არც მოფერებამ უშველა, არც წყალობა. ვასოც ადგა და დაითროა.

მოდის წინ ვასო, მხარზე „მემო“ გაღაფილია და მოათრევს თხას. ხელისგულით ოფლს იწმენდს შუბლზე-თარს ილიანდება:

— გამოადგე ფეხი, შენი ჯალაგი გაწყდა და შენი სული ამწყემსინა ჩემს ცოლს მიქელ-გაბრიელმა... წყაროსთან შევისვენეთ. ზურგჩანთა შედისკენი, ლოდზე ჩამოვდე. წყაროსთან მივიდი, ჯერ გასაგრილებლად მაჭები მეფეზვირე ლარს (ეს ბაბუამ მასწავლა) მე-

ნამდვილი თუმცა შენი დღე და მოსწრება სადათვეში დახლოტილობა და რა მიკვირსო, — დაუშატებს მე რე.

მამა გეოლოგია და იმითმ ეუბნება ამას. ორ-სამ კვირაში ერთხელ ჩამოდის შინ. ვედში თუ სადაც იქ ახლოს მუშაობს მისი პარტია, ვერცხლისწყალს ექებენ. ყოველ ჩამოსვლაზე წიგნები ჩამოაქვს ჩემთვის. ხან-იხანში ან სადმე შეიგლის და იქ ყიდულობს. განა მეტყვის, წაიკითხო — დალაგებს ჩემს მაგიდაზე და მიდის... არც იმას მეკითხება მე რე, წაიკითხო თუ არა, რას, უთუოდ დედაჩემს ეკითხება, არც იმით მიწყა-



არ დაეხარე, ხელებით ქვეშს დაგეყრდენი და ყინუ-  
ლოთი ცივ წყალს დაგეყავი.  
ოთი ყლუპი ან გადახსვილია ევლში, რომ  
- ფიქი - ფიქი! გავიგონე საიდინდაც და უცებ ნაძვის  
კამხიანი გირჩი დაშეკა თავზე.  
მალა ავიხედ: ჩემს ზემოთ, ტრატე ციყვი დასკუ-  
პებულა, წილის ვამხმარი ფოთლისფერი კული აუპირე-  
ბა და ისე მიყურებს, თითქოს მეუბნება — გეხუმრე,  
არ გეყინოს!

ვიჩერე პასუხად რამეს მოვიფიქრებდი, „ბიხი“ —  
გამსა ჩემს ზურგს უკან... ციყვმა ჭერი თითქოს კამარა  
შეკრა, მერე კი ფარფიტით წამოვიღა ძირს და თავისი  
გირჩის გვერდით დაეკა.  
— ანლა ისტუტენ რამდენიც გინდა! — თქვა ვასომ,  
კონდას მუხლზე დაიჭინა და ეახნა გამოუტყვალა „გე-  
ქი“.

ციყვი ხელში აიყვანე.  
თბილი, ფუმფული მუცელი უთრთოდა, უკანა ცალ  
ფეხს იწვიდა უპირად, თითქოს უხილავ არც იმო-  
გრებოდა. მერე რაოდენიარად გააკაცალა და არც განძ-  
რეულა მერტო... თვალები ღია დაარჩა — საფანტისხელა  
არი შავი თაოცე.

ლორე ლეონეკეტი, ვასოს გვერდით. ციყვს ზურგზე  
გადაესვი ხელი, ნახი და ფავიტი ბეჭედი ჰქონდა...  
წად გუნებაზე დადგეტი. ძალიან გავზარბდი ვასოზე.

ყვალისას ვკითხე, რა ვუყო-მეთქი?  
— რა უნდა უყო! დადგიე ავირ კვახე.  
— ბუბუბი რომ დაესევიან?  
ვასომ ისე შემოხმედა, ჰუუუაზე თუ ხარო.

— დაუჭარი გვერდით და მოუტაკევი!  
ნეტა მოკვლას ვინ გეხევენიდა-მეთქი, ვიფიქრე,  
მაგრამ ხომ არ გეცოდო. ჩინათ ავიღე და გავყვევი. მო-  
სახვევი რომ ჩავიბრათ, გულმა არ მომიბთინა და ძირს  
დავადგე ჩინათ.

— რა იყო, ბიჭო? — მომიბრუნდა ვასო.  
— ისა... ის აკაცა რომ მქონდა, ის აღმარა წყაროს-  
თან.

— რომ არ ამოვლონი?  
— კი, ხელში მეჭირა. დაგეყვედი, ნუ დამელოდები.

უკან ვაგებრუნდი. წყაროსპირას წყევლიანი ქვით მოწა  
აბოვიჩქინე და ციყვი შიგ ჩავაყვინე. შემოდგომის ფოთ-  
ლისფერი, ფუმფული კული გვერდით მივუაყე... მერე  
ფიქი არყის ხის ქერტი ვიპოვე, ზედ წავაფარე და მიწა  
შევაყარი.

ქი ქირისუფლოვით დავმარბე ციყვი.  
მთელი ჭბა ისე გავიარე, ერთხელაც არ გამიცია  
ხმა ვასოსათვის. საღამოს კი დღილი გამოიბარა, კინო  
მოუტანინათ კლუბში და ხომ არ წამოხვალა.

დალი ჩემი თანაკლასელია. ჩალისფერ თმებს ცხენის  
ყვდივით იკრავს ხოლმე და ძალიანაც უხლებია. იმსიგრ-  
ვე წამოშვები აქვს, ქართლის მასწავლებელმა უთხრა  
ერთხელ — დალი, ძალიან ჩქარ-ჩქარა ნუ აფუხლებ  
მეგ წამოშვებ, თორემ მთელი ქაღალდები დამოფანტა  
მეამა... ეხუმრა, რა თქმა უნდა, თორემ ქარი მინახამა-  
ტრეული ფანჯრიდან უბერავდა.

მალა, გამხდარი ფეხები აქვს და დედამისი რომ  
გაუბრაზებდა, წეროს ეტახის. დალი მეთათკალალებსა  
კი ბერის სწობის ხტომში (ამით ძალიან მოაქვს თავი,  
ოღონდ არ იმსიგე). გოკოვებს არ სწყალობს საამხანა-  
ვოდ. ერთთავად ბიჭქიმია გარეული.

მალა, კინოდან რომ მოვდივით მე და დალი, იმ-  
დღიანდელი ამბავი მოუყუყვი. (მეც კარგი ჰქვინი ვარ!)  
დალი ხმაგამენდილი მისქენდა, იმ ადგილს რომ მივა-

დები, როგორ უთრთოდა ციყვს თბილი, ფუმფული მუ-  
ცელი და როგორ უცებ მოკვდა მერე, ხელი ისე მობი-  
ჭირა ხელზე, ვიფიქრე, გული აუჩუყდა-მეთქი.  
მეორე დღისას დამავიანდა სკოლაში. ისტორიის გა-  
კვეთილი იკრავა ხნის დაწყებული იყო. დამწახუნე სურ-  
ბრა კარბში, რაღაც ფხუკანი აუტყნათ ბავშვებს და  
ამიბარ მასწავლებელს რომ არ დღეხათ, თავები მერ-  
ხებში ჩარგეს.

შეგუბღირე — ვითომ თქვენ არ დაგიგვიანიათ-  
მეთქი! თურმე შენს დავვიანებვის ვის ეცინება!  
დავკვირვდი და, ისტორიის სახელმძღვანელო გადავშა-  
ლე თუ არა, ვილატე თითო მიმოიკაუნა ბეჭეტი. მივიხე-  
დე: გარ მარცხენა ხელს ნიკაპით დაყრდნობა და ისეთი  
თვალებით, მუსურებით მასწავლებელს, თითქოს, უსმინს  
რომელია, იხი სათქმელს წინასწარ გამოცნობას ცი-  
ლოხნო, მარჯვენათი კი შუაზე გადაყვითელ ფურცელს  
მაჩერებს.

— თამბი — წარბებს იკრავს მასწავლებელი, — წინ  
იყურე!

ფურცელს მერხში ვინახავ და წელში ვსწორდები.  
ცოტა ხნის შემდეგ თვალს ჩუმად ვაპირებ ძირს, მერე  
ვწილი დაეცილ ქალაღს და... გეითხულო:

„გიხიარებ თქვენს ღრმა მუწუხარებას ციყვის უდრო-  
ოდ და ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ვწუხვართ, რომ  
დასაფლავებას ვერ დავესწარი.“

ლეილა, ნახიკო, თინა“.

არაფერი მითქვამს. ისტორიის სახელმძღვანელო  
დაეხურე და, როგორც კი მასწავლებელი დადისაკენ მიმ-  
ბრუნდა, რომელიღაც თარიღის დასაწერად, გოს თავში  
ვთხოლოშე წვიცე.

კაცმა რომ თქვას, გოს რა ვა გერჩობი, მაგრამ ამდენ-  
ი არ მიფიქრია მაშინ. ის კი არა, წიწვიც მის მერხზე  
დავტრევი (და ძალიანაც შეგცდი). როცა მასწავლებელმა  
მოგვადლო გამჭოლი მხერა, საქმე უკვე მოთავებული  
მქონდა.

სამწუხაროდ, არ გამოთვალისწინებია, რომ წიწვის  
თავში ჩარტყმა უკანა მერხიდან გაცილებით იოლია,  
ვიღბე პირქით. მოდა, როგორც კი მასწავლებელი ხე-  
ლახლა დაფასთან მივიდა, — ბრახ — ჩემს კაცვად დაე-  
შვა შუასაფურეების უზარმაზარი ისტორია მთელი  
თავისი იმპროვიზით, მეფიქრებთ, დღედაღებებით, ჭარბებით,  
საქმურეფლოთა და თოფ-იარაღით...  
— თამბი, დატრევი გაკვეთილი — დამიყვირა მასწავ-  
ლებელმა, — შუადღისას მობრძანდა ვეპატონი და  
მონსერინოსისეც კი არ იწუხებს თავს!

ბიღელი ამას ჰქვია ავღივი და გავიდი.  
ზარი რომ დაიჭრა და ამირა მასწავლებელი კლასი-  
დან გამოვიდა, არაფერ გამოჰყოლია. გამიყვირა. შევლოე  
ქარები — თურმე მე შელოდებინა. დამწახუნე თუ არა,  
ბეჭეტმა პირისუფლებივით გადაიჭარბინებს ხლები,  
თავი ჩაქვიდეს და დროული კაცებივით ნუგეში მცეს!

— რას იზამ, მუხლებ!“, ყველანი სიკვდილის შვილები  
გართ და უნდა გაუმლო!

— რაც მას დღე დააკვდა, შენ შეგვამატოს, ძმაო!

— ჩერა მე შევსაცემელოდი, მაგრამ ღმერთმა არ ინ-  
დომა ნიქი თავი და რა ვქნა!

გოკოვებზე სერიოზულად იღვანენ, მაგრამ როდემდე...  
უცებ — ფხუცო... წასკნად ვილატე და, რომ აკაცა მთე-  
ლი კლასი, ლამის იატაკზე დაიწყეს კობრების...

ძალიან მეწყინა. ისე ვაგებრაზდი დაღონზე, რომ იმ  
კვირაში ერთხელაც არ გადამიწყვირა მისგან ალგებრის

\* ძმაო.



საშინაო დავებდა. რამდენჯერაც მასწავლებელი ორი-  
ანს დამიწერდა, მე დალის გადავხედედი ნიშნისმოგე-  
ბით — ნახე, რა ღღეში ვარ, ახია შენზე-მეთქი.

მინდოდა სინანულისაგან გამწარბეულიყო, მაგრამ  
დალის მაინცდამაინც არ ეტყობოდა, რომ თოქში აპი-  
რებდა თავის გაყოფას. ის კი არა, მე რომ მეგონა, თუ.  
შევურიგდი, სინანულით ცას ეწევი-მეთქი, ტუჩი  
არ ამბობუა! — ნეტა რას იტყვებოდი მთელი კვი-  
რისთვის, მეტი ხომ არაფერი!

— რატომ უამბე, ვინ გეხეწებოდა!

— როდის მითხარი, არავის მოუხეყე?

აბა, ელაპარაკე, ახლა ამას! ცხადია, იმიტომ გააკეთა,  
რომ დავიკა — შეხეთ, რა ბიჭია, ქათმის დაველა რომ  
დაინახოს, გული ყელში მოგბჯინებდა. პო, ეგრე ჰგონია!  
თუმა კიდევ იმას დამცინის, სულ წიგნებს რომ უხიხარ,  
პროფესორი არ გამოხედდე! არა, ბიჭო, შერდულით  
სკეინების დევნა უფრო საინტერესო!..

დაბინდებისას ერთხანს უახროდ ვიბორიალე შინ.  
მერე დრო ვიხელთე — თოფი გამოვაცურე კარადის  
უქნიდან და ფრთხილად გაიხილე კარი ყურადღება რომ  
არ მიექცია ბებიაჩემს. საჩუქრში პატარა ნაჯახს წამოვაგე-  
ლე ხელი და ყანისკენ გავსერი.

ტვიზრას მხრიდან თხლის მაღალი ბუჩქები მიუყვე-  
ბა ჩვეს ყანას. ერთადერთი ადგილი პანტასთანაა, უღელ-  
სა ხარის ვასასეული რომ რჩება მოხალეაუბეული.  
სწორედ აქედან მისდგომოდა დათვი ყანას.

თხლის ორკაეები მოვკერი, წვერივ წავუთალე და  
ზედ ბუჩქთან ნაჯახის ყელი დრამად ჩავსე მიწაში. მერე  
ორკაეებზე თოფი გავდე და ქანათი მივამაგრე ბოძ-  
კინტებს. ყანადის მონაოჩენი მოპირდაპირე მხარეს მივა-  
ბი თხლის ძირზე, მერე ბოლო კი წამოვლე და თო-  
ფის სასხლეტამდე გადმოვიჭიე, რგოლს უკანდან შემო-  
ვუტარე და ჯერ ერთ სასხლეტს შემოვხატიე, მერე მე-  
ორეს. გავსაყვე და ნაჯახის პირით გადავკერი. რაც ზედ-  
მეტი იყო.

განხები ჭიბეში მეღო, მაგრამ მაინც გადავხსენი თო-  
ფი — გატეხილი არ იყოს-მეთქი. მერე ჩამხატიე ფეხზე

შევაყენე, უკან დავიხიე და ვითომ ყანისკენ მივ-  
ლათვი ვიყავი — მეკრლით მივეყრდენი თოქს.  
თოფმა ზედიზედ „დაცემინა ცხვირი“...

ვაშა, ყველაფერი რიგზეა! ახლა ვაზნებს ჩავაყენებ  
დაველოდები, სანამ კარგად არ დასამდებოდას (მე-  
ტი რომ თოფი ჩამხატიე-მართალი დავტყვი, საშობა-  
ან კაცმა არ გამოიაროს შემთხვევით ან საქონელმა).

იქვე ჩამოვკეტი და ცას ავხედე. კიარის მხრიდან  
მთავრე ამოდიოდა. დამის მნათობის ცქერა ძალიან მი-  
ყვარს, მაგრამ ახლა სულაც რომ არ ამოსულიყო, არ  
დავიმდებოდი.

ჯდომა მომბერდა. წამოვწევი და ხელები თავქვე  
ამოვიწყე. მოთბეული ბალახის სუნის იდგა ირგვლივ.  
ჩემს ზემოთ თხლის რტოებს არწევდა და ხმადალ-  
აშჩალებდა ნივი. თავითი, ოროდვე ნახიჯზე, ტვიზო  
მოლოკივებდა, სალაც ძალიან შორიდან კი ბუს კივი-  
ლი აღწევდა დროდადრო. ოპ — ოპოო! — დიდახედა  
და მიუხრდებოდა, თითქოს თავის ხმის ექოს აუტყა-  
ლებსო. მერე კიდევ დიდახედა..

— თამბი! — გავიგონე დედის ძახილი.

ხმა არ გამოიცია; დათვი სადმე ახლო არ იყოს მოსუ-  
ლი და არ დავაფრთხო-მეთქი (თუმცა ძალიან კარგად  
ვიციდი, რომ დათვი ქემების გავშმაკებული ცხენი კ  
არაა, დაღამებოსთანავე ეცეს ყანას. დათვი გათენისის  
მოვა აღბათ).

ღელამ კიდევ დამიძახა ერთ-ორჯერ და დამანება თავი.  
წამოვკედი და თოფის ორივე ჩამხატი ფეხზე შევაყე-  
ნი. ეს სომ ადრეც რამდენჯერ გამოიკეთებია, მაგრამ ახლ  
სხვაგანაოდ დამიწერე გულმა მაგაბედა; ხუმრობაა —  
ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩემს მიერ ჩამხატიე-  
თული თოფს დათვი უნდა მოეკლა! აი, წვერილი ყანადი  
სასხლეტა და ბუჩქის შორის — საკმარისია ოდნავ და-  
ქანი, რომ ამ ორი ლულიდან ქუხილით გამოვარდნა  
ორი ტყვია...

— შენ რა, ბოქლომი დავგეო პირზე?! — გაცეცხ-  
ლებული მომვარდა დღამბედა.

— არ გამოიხნია, თუ მეძახის, — ვიცურე.

ღელამ მიყურა ერთხანს, მერე გაეღიმა და ქიორზე  
დამქაჩა მსუბუქად.

— უტვიზო! აბა, საიდან იცი, რომ გეძახის?

მე მხრები ავიჩიე.

— გადი ახლა და შეშა დაქერი, თორემ გავაგონებ  
კარგად! ხომ იცი, რომ შენს საქმეს სხვა არავინ გააა-  
თებს. ნუ დამაპუტე წყარამარა შეხსენებია!

ანთოფილი კვირა სწავის კართან დავამაგრე და ნა-  
ჯახის ტარით ფიჩხის ყონა ჩამოვშალე.

— თამბი!

ეს დალის ხმაა. ღვემლომაც წაუყველა და მიჩუმდა.

— შემოდი, დელი, რა შორიდან იძახი?

— ძალით არ გამოვშევა.

— თა, ძალით თავს იკლავს, გინდა თუ არა გამიშვით!  
მართლაც არ ვარ გვეთი ძალის მნახველი. პაპანაქე-  
ბაში თოხნა ე მიზარება ისე, მაგას რომ ყველა ენაოჩენი  
დღე და ღამე სინავს და სძინავს. მარტო იმისათვის თუ  
წამოხლავანება, რომ ჩრდილში გადაინაცვლოს. ან რო-  
ცა საქმეში მიუტან. წამოადგება ზანტელ, ფეხებს წინ  
გამოტავს, წილს დაიდრავს, ერთს გემრიელად გაიჭო-  
რება და მიაღებება სალაფსს. მერე ისევ გრილოს მი-  
აშურებს, მაშინვეება და განაგრძობს ძილს...

ბებიაჩემმა არაერთხელ გამოუტანა სასიკვდილო გა-  
ჩაენი, მაგრამ ბაბუამ შეიცოდა.



— ოპ, შენ თუ ეს ძალი არ დაეკლა საფლავზე, ქალი არ ვიყო მე! — ექაღნება ბებიაჩემი.  
 — ლალი შემოვიდა, წყებლას ათამამებდა ხელში. რომ გომიხალოვდა, მთელ ეზოს გადაეფინა მისი მოფარფარე ჩრდილი.

— შეშას ჭრი? — ვითომ ვერ ხედავს.  
 — არა, თივას!  
 — გამოიზიგე აბა, მშვიერი არ დარჩე ზამთარში.  
 პირუტყვი ხარო, რომ გეტყვიან და შენ ვერაფერს უბასუხებ, კი უნდა ჩათვალონ შენთან საუბარი დამთავრებულად. დალიც ხელად საქმეზე გადავიდა.  
 — სახედარი შინა გყავთ?  
 — კი.  
 — მართლა?  
 — ჰო.

— შენზე კი არ გეკითხები... — კისკისებს დალი.  
 — შენ ამ შეშას თუ ხედავ? — ვემუქრები.  
 — არა, მართლა, მამამ გამოგზავნა, ხვალ მთავი უნდა წავიყვანოთო.


— ჩვენი სახედარს არაფერი ესაქმება მთავში...  
 — ჩვენ გვაქვს საქმე... ისე, რომ იცოდე, მისთვისაც კარგია.

— სულ იმის ნატვრაშია: ნეტავ იმ დაღმართებში მძილი მახლიდინაო.  
 — სამაგიეროდ, მთის ლორთქო ბლახს რომ მიაძლებდა, არაფერია? ვინ იცის, მეტად არც უწერია მთავში ასეა იმ უბედურს.

— რაზე ატყობ!  
 — სიბერეზე. იმ ხნისა, პენისას უნდა აძლევდეთ წესით.  
 — თუ ასე ზრუნავთ, ბარემ წყალტუბოში გაგეყოლებინათ ბებიაშენისთვის! — ვუთხარი და ფიჩხი დავიღლიავე.  
 — დღემდ თქვა: დაიარეთ ახლო-მახლო და, თუ იპო-

ვით, წავიყვანონო. — ვუთხარი დალის, როცა სახლიდან გამოვტარუნდი, — წვადიღეთ.

— აკი შინა გვეყავსო?  
 — შინ რა უნდა ზაფხულში!  
 — მველმა რომ დავლიჯოს?  
 — ოპ, მგლები სულულები კი არ არიან. საქმისთვის მთავი ეგულუბოდეთ და თვითონ ბარში იქნაწალონ!



იმ დამეს დიდხანს არ დამიძინია. თვალგახელილი ვიწეკი ჩემს ოთახში და ბრაზი მომდიოდა მთვარეზე, დათვის აფრთხობს-მეთქი. გაფაციცებული ველოდებოდი გასროლის ხმას.

ტივირას მხარეს განგებ არ წავიყვანე დალი, სახედარს რომ ვეძებდით. მიზეზი, ცხადია, არ მოთქვამს. სხვაგან კი ადგილი არ დავტოვეთ ფეხდაუდგამელი, მაგრამ ამაოდ. არ ვიცი, სად ჯანდაბაში დაიკარგა, ცამ ჩაყალაა თუ მიწამ...

მეორე ოთახიდან ბაბუაჩემის ხვრინვა მესმოდა. მაგრამ მის ხვრინვას ისე ვარ შეჩვეული, როგორც ამ მაღლიძარას ტიკტიკს, სასთუმალთან რომ მიდგას. არც მესმის, თუ საგანგებოდ ყურადღება არ მივაქციე.

გარეთ კი ისეთი სიჩუმე იდგა, ისე გაყურსულიყო ყველა და ყველაფერი, მგონი მე და ჭრიკინებს არ გვეძინა მხოლოდ. მე დათვებ ვფიქრობდი, ჭრიკინები კი გულმოადგინებდნენ ხერხავენდნენ დამეს.

მეორე მთვარეც ჩავიდა და ერთბაშად ჩამოზნღდა, სულ მიყუჩდა და მიინაბა გარემო. ჩამეძინა.

...მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა საიდანაც... პირველი, რაც მე დავინახე, (და რისი დანახვა სულაც





არ მესიამოვნა), ეს იყო ვარსკვლავებიანი ცის ნაწილი.  
ჩემი ფანჯრის ოთახკუთხედით შემოზღულდული  
— გაიგონე, კაცო? — ეს ბებიჩემის ხმაა მერცხის  
ოთახიდან, — თოფი ისროლა ვილაყაფე, ჩვენს  
— რაო? — ნამძინარევი ხმით უკანსუხუხუხუხუხუხ  
— თოფი ისროლეს-მეფეო. თითქოს ზედიზედ ორ  
ჯერ ისროლესო.

— დაიძინე, ქალო, ბიჭი შეეძინებოდა ვინმეს. სუ და-  
ფთოდები ყველაფერზე!  
თოფი ისროლესო? ესე იგი, მე კი არ დამსობგუ-  
ბია, მართლა უსჯობიათ. რა ბიჭი, რის ბიჭი!

წამოვხტი, სვამზე გადავიდებულ შარვალს დაველე-  
ხელი და ფაციფუცში უქულმა ჩავიციე. ჩანდაბას-მეთქი  
ავიღე და უკან შევიკარი ღილები — ამის დარდი მქონ-  
და ახლა?!

ბიჭო!.. ეს მე მკითხებთ! ამას, ჩემს გარდა, კაცო ვერ  
ავიხსნით ქვეყანაზე!.. ბიჭი კი არა!..

ტვიბრასკენ ვავრბოვარ სათიბ-სათიბ, ჯიბის ფარნის  
შუქი მისრიალებს ჩემს წინ აცა-ბაცა, მიხტის არხის  
თხრილებზე, ზედ ევლევა მიჯნად დადებულ თეთარ  
ქვევებს. მისრიალებს შუქი წინ და მივყვები უკან ხე-  
ვი ნამი მისველებს ჯერ შიშველ კანჭებს, მერე ტლოს  
წუღას და ახლა ყოველი ნაბიჯს გადადგამზე ფეხი  
ქრავუნით ცურავს ფეხსაცმელში...

ალბათ ბიჭი შეეძინა ვინმეს და იძიტომ ისროლეს!..  
ჰე-ჰე... ხვალ გაიგებთ, რას ნიშნავდა ამალადელი სრო-  
ლა...

აჰა, ესეც შენი ტვიბრა!  
ფარანი ჩავაქრე და სუნთქვაშერკულმა დავეღდე  
ყური მიდამოს — ჩამიჩუმდი არ ისმოდა. ფეხაურფით  
მივუახლოვდი ყანას და კიდევ ერთიღვ დავძაბე სმენა.  
ამოდ — მხოლოდ სიმიზდის ფოთლების წყნარი შრია-  
ლი მოისმის ყანიდან. მოზომილი მიპარეით მივებოვებ  
პანტისაკენ, სადაც თხილის ბუჩქებს შორის ფეხზე  
შეყენებული თოფი დავეუტრეცე დათვის...

ღობეს ავეკარი და ნელ-ნელა გავაპარე თვალი იმ  
ადგილისაკენ, სადაც მოკლული დათვი მეგულემოდა.  
ისე გამალებით მიცემდა გული, ისეთი ბავაბუგი გა-  
ქონდა, მეგონა, მთელ სოფელს ესმის-მეთქი.

სრული სიჩუმე...  
ფოთლოც კი არ იძვრის და ვერც თვალით ვარჩევ  
რაიმეს.

ფარანს მაინც არ ვანთებ. უფროსებისაგან ვიცე-  
რომ დათვი ძალიან ეშმაკია, დაჭრილი კი მით უფრო.  
თავს მოიმეცვარუნებს, რომ მიუახლოვდები — მოუ-  
ლოდნელად გეცემა და მტრისას, რაც შენ დღე დაგა-  
გებია...


თვალს თანდათან ვაჩვევ და... მეჩვენება თუ მართ-  
ლა გდია ბუჩქებს შორის რალაც დიდი მავი?  
გული ამოვარდნაზე მაქვს...

ფარანს მალა ვწვე. ვიდრე დილაკს თითს დავაქვე-  
დე, წინასწარ ვუმიზნებ შუქს, თითქოს ჩვეოლევი მე-  
ქიროს ხელში...

შუქც სინათლის შავი ჰვეთს სიბნელეს და... სიბ-  
ცხელი, თავმოჭრა ჩემსითანა მონადიროს! თხილის  
ბუჩქებს შორის, სწორედ იმ ადგილას, სადაც საღამოს  
ვიწედი თავქვე ხელგამოწყობილი და ცას გავყურებ-  
დი დათვზე მეოცნებე, ახლა ფეხებგაფარჩხულა, ცხილზე-  
დაკრეპილი ეგდო ჩვენი ბებერი, მთლად განაცხობს-  
ფერებული სახეღარი...



# ბუიბოო ასაუიასე



გამოჩენილ საბჭოთა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ აბაშიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. უფროსად „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლექცია, ათეულ ათასობით ნორჩ მკითხველთან ერთად, სულითა და გულით ულოცავენ სახელოვან იუბილარს მისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

მხატვრული სიტყვის დიდოსტატის გრიგოლ აბაშიძის სიყვარულით არის გარემოსილი მთელს ჩვენს მრავალღეროვან ქვეყანაში. მისი ტალანტის ელვარებამ რასანა საბჭოეთის ფარგლებს მიღმაც გადაანათა.

ძალზე დიდია გრიგოლ აბაშიძის წვლილი ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში. ჭრტ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მოიპოვა საერთო აღიარება. განვლილი ოთხი ათეული წლის მანძილზე მან არა ერთი და ორი პოეტური თვალ-მარგალიტით გაამდიდრა ეროვნული პოეზიის წმინდათაწმიდა საგანძური. მისი მრავალი ლირიკული შედევრი, ლექსების ციკლები: „ლენინი სამგორში“, „ჩაქვკაუხლები“, „სამხრეთ საზღვარზე“, „რუსეთის ველებზე“ ქართული მწერლობის ოქროს ფონდშია შესული. ეს ქმნილებები ხალხის კუთვნილება იქცა, სახელმწიფო პრემიის მინიჭებით აღინიშნა. ქართულ ლიტერატურას მარადეამს დაამშვენებენ მადამხატვრული მითითა და ორიგინალური გააზრებით გამოჩრდილი პოემები: „შავი ქალაქის გასაფხული“, „ძლიერის ქელი“, „ზარზამის ზმანება“.

გრიგოლ აბაშიძემ შექმნა თანამედროვე პროზის შესანიშნავი ნიმუშები, დიდი ეპიკური ტილოები: „ლამარგლა“, „ღლიღამე“, „ცოტენი, ანუ ქართველთა დაცემა და ახალდება“, რომლებშიც ხელშესახებდა არის გაცოცხლებული საქართველის ყველაზე ავბედელი ეპოქები, ამალეღვებულადაა მოთხრობილი იმ გმირობისა და თავდადებაზე, რასაც ქართველი ერი იჩენდა მამულისთვის

ბრძოლაში. „ძილშიაც იცვა ქართველს ბეჭთარი, სუფრასაც უჭდა ჩაქვკაუხლები“.

დიდი ამაგი დასლო სასიქადელო პოეტმა ქართულ საუმაწვლო ლიტერატურასაც.

ვინ არ აღტაცებულა ფოლკლორულ სიუჟეტებზე თუ პოეტური ფანტაზიით შექმნილი ისეთი მახვილგონივრული საბავშვო პოემებით, როგორიცაა „რუსთავის მერცხლები“, „ავი ღლიავი“, „ნაბოლორა წიწილა“, „მეცამეტე გოჭი“, „რატომ არ აქვს კურდღელს კული“, „ნორჩებისათვის განკუთვნილ ლექსებში პოეტი მოზარდ თაობას უღვივებს სამშობლოსადმი, სწავლისადმი, შრომისადმი სიყვარულს. თუ რაოდენ გულწრფელად უყვარს ღვაწლმოსილ შემოქმედს პატარები, ნათლად ჩანს თუნდაც ამ სტრიქონებში: „თავს დამავიწყებს მათი მიყოლა, ჯოსხსაც ვაჭენებ, ბუთისაც ვავიტან, და მე ცხოვრებას ამ თითისტოლა რობინწონებთან ვიწყებ თავიდან“.

გრიგოლ აბაშიძე მშობელი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ჭირისუფალია, მისი ფიქრების, წადილის შთაგონებული მესიტყვეა. იგი ამასთან დაუცხრომელი მომღერალია ერთა ქმობისა და მეგობრობისა, საყვავითაო მშვიდობისა. ამიტომაც მისი მხატვრული სიტყვა მუდამ აღწევს ხალხის გულის სიღრმემდე...

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედების მილიონობით თავყანისმცემელი ძვირფასი იუბილარისგან კვლავაც ბევრს მოელოს. ვუსურვებთ ჩვენს საუყარვლ მწერალს მრავალ ბედნიერ წელს, მკითხველთა არაერთგვის გაზარებას ახალ-ახალი მადამხატვრული ქმნილებებით.





ვებელი ძალა. მე განვიზრახე ამ თვისებებს ფონზე მომეფებოდა მთელი დიდი ისტორია ჩვენი ხალხისა, მიჩვენებინა არა მარტო გმირული თავდაცვითი ბრძოლების, არამედ შემოქმედებითი შრომის დიდი პათოსი.

ძნელი საკუთარ წიგნზე ლაპარაკი. მე მხოლოდ იმას მოიხიბობოდა, იგი იყო ავტორის განზრახვა, ხოლო როგორ შეესრულა მან თავისი ჩანაფიქრი, ამას წიგნი თავად იტყვის. პირველივე თავებში ვცადე ხაზი გაშვება ჩვენი შრომული წინაპრების გონივრული და სწორი მისწრაფებისათვის — მუდამ მტკიცე, მეგობრული, კვირის ქონილად თავიანთი კეთილი და მამაც მეზობლებთან — ავიკასის ხალხებთან. ამგვარად ახსნილი ლინიტი პროვოცის მიერ მოთხრობილი ლეგენდა ქართველთა წარმოშობის შესახებ. ჩვენი ხალხის ეს სწორი და ბრძნული თვალსაზრისი მკაფიო ზოლად გასდევს მთელს ჩვენს ისტორიას და მეც ვცდილობ ამ დიდი მეტაბროზის ფონზე მოვუთხრო მეტოხველს ჩვენი ხალხის ცხოვრების ამბავი.

ჩვენ მდიდარი ისტორიული მემკვირვება გვაქვს. საუკუნოების სიღრმეში ვებულობთ მის სათავეებს. უხვად მოგვეპოვება უცხოური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, რაც ავსებს და ამდიდრებს ჩვენი მეცნიერების მონაპოვრებს და საშუალებას გვაძლევს ცოცხლად წარმოვიდგინოთ შრომული წინაპრების ცხოვრების ცალკეული სურათები (აქვე უნდა შევინშნო, რომ წიგნის სათაურში ნახსენები ქართლის ცხოვრების ქრონიკები იმას კი არ ნიშნავს, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ცნობილი „ქართლის ცხოვრება“ მქონდეს გამოყენებული. როგორც უკვე ითქვა, წიგნი გამოყენებულია „ქართლის ცხოვრებაც“, უცხოური წყაროებიც და ჩვენი ძეგლი და თანამედროვე მეცნიერების სხვა მონაპოვრებიც).

ჩემი ამოცანა საქმად ძნელია. უნდა შევარჩიო ამ ზღვა მასალიდან ყველაზე მთავარი, დამახასიათებელი და ისე ვადავება ერთმანეთს, ისე ავიწინო, რომ არც ისტორიულ სინამდვილეს ვუღალატო, არც თავიდანვე აღებულ ჩემს თვალსაზრისს: ამასთან, არც თხრობის ა-

ფი გაწყდეს და ბელეტრისტული ხერხიც ისე ზომიერად გამოვიყენო, რომ თხრობა საინტერესო იყოს და თან წიგნს ისტორიული ქრონიკის კოლორიტი არ დაეკარგოს. საქმის ისიც ართულებს, რომ მთელი, გაბმული ისტორიის ასე მხატვრული მოთხრობის ტრადიცია ჩვენ არა გვაქვს. საჭიროება კი დიდი ხანია არის ასეთი წიგნისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიული მეცნიერება მდიდარია, ყველა ვერ მოახერხებს მეცნიერული შრომები წაიკითხოს. განსაკუთრებით ძნელია მისთვისვე ახალგაზრდობისათვის.

ჩვენი ხალხის ისტორიის ამ გაბმული თხრობიდან მე შევიცადე პინსაკუთრებული მოვლენები არა მარტო მომეხირო, არამედ ხატოვანად გამეცოცხლებინა კიდევც. ასეთებია, მაგალითად, გიზობლენი ფარსავაზის, ვახტანგ გორგასალის, ფარსმანის, გუბაზის გეროიდებიდან, ქრისტიანობის პერეცელების ცალკეული ეპიზოდები... შევიცადე არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე ასევე აღმედგინა ჩვენი წინაპრების ცხოვრების საუარაუდებელი ეპიზოდები... ე. ი. ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და რაც ერთგვარად შეუქსა ჰფენს ისტორიის ცალკეულ მომენტებს.

თქვენ მეკითხებით, სხვა ხალხებს თუ აქვთ ასეთი ხასიათის წიგნები, მხატვრულად მოთხრობილი ისტორიით. ბევრსა აქვს. აქვთ სხვადასხვა ხასიათის წიგნები: ისტორიის ცალკეული მონაკვეთები, ვთქვათ, ისეთი, როგორც იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ და გაბმული პოპულარული ისტორიაც. საინტერესოა, რომ დიდი ინგლისელ მწერალს ჩარლზ დიკენსსაც აქვს ასეთი ხასიათის წიგნი — „ინგლისის ისტორია ბავშვებისათვის“.

ჩვენშიაც მომპოვდა ასეთი წიგნის შექმნის აუცილებლობა. და სწორედ ამან გაზამედგინა, ხელი მომიკიდებია ძნელი საქმისათვის. შრომა სამ წიგნად მაქვს განზრახული. პირველ წიგნში მოთხრობილია ამბები არაბების შემოსევამდე. ამქამდე ვმუშაობ მეორე წიგნზე, რომელიც მოთხრობილი იქნება მომდევნო საუკუნის ამბები მონღოლების შემოსევამდე.



აიას გული დასწყდა — იტყო, მისი მტრეკე არ მხოლოდდა. ჭარბაის მუქურება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეა გუნდების ტრადიციულ ამბავად მატჩში მას ჩვენი ქვეყნის ღირსების პატივ მიანდეს. გოგონათა დაფაზე ეს დაჯი მისი ასაკის მოჭადრაკეს არასდღეს ღირსებია. აქლა გოგონა, აღარ მათამაშებენ და ამან დაანაღვლიანა.

მაგარი სტუმრებმა მაიას წინააღმდეგ გამოიყვანეს... ქალთა ნონის იუგოსლავიის ჩემპიონის მსაბრტ ვლასტას კალბრენერი.

— რა იქნება ვლასტას რომ იოანაშოს? — იეთხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა და თანაგუნდლებს გადასცა.


— ვათამაშო! — თქვა გუნდისთვამა ნონა გაფრინდაშვილმა და მას ყველამ დაუჭირა მხარი.

მაია მისივე გამაირაულა.

მერე ტიგრან პეტროსიანი მუხებინდა: დიდ ცოლვას ჩავიდნდით, მაიასთვის თამაშის უფლება არც ჩამიგვეცა. თბილისში უფრო იმტომ ჩამიგვედი, რომ ეს გოგონა გამეცხო, მესაუბრა მასთან, მენახა როგორ აჩრქვს პოზიციას. გავიცანი და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე.

თბილისის ჭარბაის სასახლე გულ-შემატკივრებით იყო გაჭვიდილი — სასტოლოვან მოჭადრაკეთა პაქტიონსზე ნაკლებ როდენ ინტერესდნათ მაია ჩიბრდანიძის თამაში.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის მისწავლებელ, თორმეტი წლის მაიამ სწრაფად მოიხვეჭა ნიჭიერი და მზარდი მოჭადრაკის სახელი. თამაში რვა წლისავე ისწავლა ქუთაისში, სადაც მისი თაჯანი ცხოვრობს. ერთ წელიწადში პირველთაბრტისანი გახდა. მერე ბრძნულ თამაშის უფრო ღრმად „დაუღრმავა“ მიზნით დედამ თბილისში ჩამიყვანა — ამ დროს მაია უკვე თაჯანის ჩემპიონი იყო საქართველოს მოსწავლე გოგონათა შორის. მაია ჩიბრდანიძის დიდი ღრმად არება შარშან ზამთარში დაიწყო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს პარტია მოუტო ტელევიზორში გამოჩინული თამაშის სანამაში. მერე გოგონამ თბილისისა და საქართველოს ქალთა თასები მოიპოვა, ხოლო სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ბელციის ნახევარფინალში I-II ადგილებში გაიყო. მაიამ საშუალო სკოლის მოხიბლა პოზიციის სწორი გაგებით. საუცხოო ინტუიციით, კომბინაციის უხუსტი განაგარიშებით და გამარჯვებულად დაუთვებელი სწრაფობა.



# დიდი აღიარება

ზარ გლიგორიჩი და ბრუნო პარმა მილიდნენ დაფასთან, დაკვირვებით აცქერდებოდნენ პოზიციას და ღიმილით თავს აქნევდნენ. მაიას მაგიდას პეტროსიანიც თავს დასტრიალებდა.

ლაზიერის ფრთაზე პაიკების გამბეული შეწირვით მაიამ ხაზები გახსნა და იუგოსლავიის ჩემპიონის მეფეს თავგამოდებით შეუტია. მალე მტლი შესწირა და შამათი გამოუცხადა მეტოქეს. დარბაზმა იქუხა. მოჭარბაკეები წამოცვივდნენ: რა მოხდაო. კალხბრენერის დამარცხება რომ შეიტყვეს, არ გააკვირვებიათ — თავიდანვე უჭირდაო.

მეორე დღეს მაიამ კვლავ მოიგო. მესამე პარტიაში ფლასტა კალხბრენერი მთელი საღამო საკმიდან არ ამდგარა — მხოლოდ ორი დარჩენილი პარტიის მოგებით შეეძლო შელახული ავტორიტეტის აღდგენა.

მე, როგორც მატრის არბიტრი, სამსაჯო მასალას ვათვალთვლებდი, როცა დარბაზი ხელახლა ახმურდა. მოვიხედე და დავიჩანე — ყველა მაიას პარტიის სადემონსტრაციო დაფას შესცქეროდა. დაეაკვირდი პოზიციას. მაიას სწრაფად შეეძლო გამარჯვება. მან კი შორი გზა აირჩია. გარინდული იჯდა, მაგეჩე ძლივს შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა.

— თამაშს ვეღარ გავაგრძელებ, თუ არ დააწყენარეთ მაყურებლები, — მოხერხა სხაურით შეწუხებულმა იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ბორა იგვოვა.

მოთხოვნა კანონიერი იყო, მაგრამ ხვეწნა-მუდარით ვერაფერს გახვდი... ბედად, კალხბრენერმა მალე გამარჯვება მიულოცა მაიას და დარბაზიც დაწყენარდა.

— რატომ ააღლევი ხალხი, სომ შეგეძლო მოკლე გზით მოგეგო? — თითქოს გულმოსულმა ვკითხე მაიას. მან გულუბრყვილოდ გამიღიმა და მიპასუხა:

— მაინტერესებდა, მისვდებოდა თუ არა კალხბრენერი, რომ ჩემი პაიკები უფრო მალე გადიოდნენ ლაზიერად.

მესამე გამარჯვებამ მაია ყურადღების ცენტრში მოაქცია. მეოთხე პარტიას კი უკვე ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს.

— კარგად თამაშობს, წუნს ვერ დასდებ. მაგრამ სანაძლოს დავიდებთ. რომ კუს შეწირვის კომბინაციას ზუსტად ვერ განახორციელებს, — უთხრა დიდოსტატმა მილან მატულთოიჩმა საბჭოთა მოჭარბაკეს მარკ ტაიმანოვს.

— მოახსენებებს! — მიუგო ჩვენმა დიდოსტატმა.

მართლაც, მაიამ სწორად ითამაშა: პაიკი მოიგო და ათიოდ სვლაში პარტია გამარჯვებით დაამთავრა. მეორე

(დასასრული მე-18 აპირადე)

ყველაფერი ეს იცოდა იუგოსლავიის ჩემპიონმა. მაია გაზაფხულზე გაიცინო თბილისში — ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პარტია მოუგო ნორჩ მოჭარბაკეს. ცხადია, დასაბატების იმიჯი აქონდა.

როცა მეტოქეები წაას მისხდნენ, მაიას შეეხედე. გამასხენდა ნინას და ნინას პატარაობა. მაიასაც მათსავით მისწყველის ფორმა ეცემა და თმაზე დიდი

თეთრი ბაფთა ეკეთა. მაია ცდილობდა სერიოზულად დაეჭირა თავი, მაგრამ ეშმაკურ ღიმილს ვერ მალავდა. ხშირად გააპარებდა ხოლმე თვალს მეტოქისაკენ, თითქოს წინასწარ ზეგრავსო.

ბრძოლა თავიდანვე დაიძაბა. მაიამ მეტოქე ძნელი ამოცანების წინაშე დააყუბა. კალხბრენერი ბევრს ფიქრობდა, რამაც მისი თანაგუნდელების ყურადღებაც მიიპყრო. დიდოსტატები სვეტო-









ერთ კვირა დღეს დედია მამა ბავშვებით ერთ ქალაქში წავიდა. ნიაში კიბინად ხელი დაუქნია გალიაში გაზრდილებულ შოშიას, დაპირდა, საჩუქრებს ჩააფარებდა.

ქალაქიდან შინ დაბრუნებულებს მერღვე სამწუხარო ამბავი დახვდა: საჩუქრის ფარდები დაფარული იყო, გალია — დაშლილი და ცარიელი.

ამჟიარად ჩანდა — კატას, ბოლოს და ბოლოს, თავისი საწადელისათვის მიეღწეო...

ბეჭედა გულმოდგინედ ძებნეს სავარძლისა და კარადის ქვეშ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ოროდღე ბუმბული ეგდო იატაკზე, ნიალა ატირდა. ვასილევკი მძღუშული დღედა ზამთამ კი კატას დაუწყო ძებნა.

— რა იქნა ის ავაზაკი? მე მის ვეჩერებად სვiris...

ბოლოს, როგორც იქნა, იპოვნა: ლუმელის ფურნაკში მიწაბულიყო. მარცხენა, მოხუცული თვლიდან ცრემლი სიდიდა. ეტყობოდა, რომ მოშინავან კარგად მოხედავოდა.

— ნეტავი ბეჭედას შენთვის მეორე თვალიც გამოთხარა—უყვირა დედია მამამ კატას და ცოცხით ეზოში გაავლო.

იმ ღამეს ნიალამ კარგად ხანს ვერ დაიძინა, ლოგინში წრაილებდა და სულ საყვარელი შოშის სხენებამი იყო.

— საიდან მოფრინდა ბეჭედა? ვინ მოტყვნა ფრთა?

ვასილევკი უხსნიდა: შოშია შორიდანაა მოფრინილი, ფრთა, ალბათ ვინმე ცუდმა ბიჭმა დაუხანია.

გოგონა ერთხანს დაღუბდა, შემდეგ საყვედურით შეხედა ვასილევს და წყნით უთხრა:

— რატომ გაუყეოე ბეჭედას მოფანფანებული გალია?

რა უნდა ეპასუხნა ბიჭს როცა დედია მამაც დაწყო, ვიხარებოთ შევიდა საშხარეულოში და მაგდას მიუტყდა.

„მოსკოვის ფრინველთა შერგოლის ბიუროს, — დაწერა ვასილევკი რვეულის ფურცელზე. — მე დავიპოვე შერგოლი შოშია, მ. — 1914“. ამის მეტი ვერაფერი დაწერა — გამბედაობა არ ეყო მიეწერა, სათანადოდ ვერ მოვუფრთხილდი ჩიტსაო... მეორე დღეს ნიალამ ყველაზე ადრე გაახილა თვალები და წამოიძახა:

— გალობს!

დედია მამა თითო დღემურა:

— დაიძინე, დაიძინე! სიხმარშიაც შოშია გელანდება!

ნიალას არაფერი უპასუხნია. ის

იყო ჩათვლიმა, რომ კვლავ მოესმენა ნაცნობი ხმა.

— გალობს, ნუთუ არ გესმით? — ჰო, მეც მომესმა, — გამოეხმურა დედია მამა.

მესამედაც რომ მოისმა ჩიტის გალობა, ვასილევკი საწოლიდან გაღმობტა და განახცხდა: ნამდვილად ჩვენი ბეჭედა გალობსო.

დედია მამამ შლი მოისხა და სარკემოთან მივიდა.

